



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 40

2011 წლის 20 ივნისი

ქ. თბილისი

აშშ-ის სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ -
შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-
ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) „მეცნიერებისა და ტექნოლოგიების
სამეწარმეო პროგრამის (STEP) - ბიზნეს-პარტნიორობის (BPG)“ 2011 წლის
ერთობლივი კონკურსის

გამოცხადებისა და კონკურსის პირობების, კონკურსში მონაწილეობის შესახებ
პროექტის მონაწილე ფიზიკურ პირთა, საბაზო ორგანიზაციისა და
თანადამფინანსებელი კომპანიის ერთობლივი განცხადების ფორმის, საპროექტო
განაცხადის ფორმების და პროექტის ბიუჯეტის ფორმების დამტკიცების შესახებ

„მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს
კანონის 24¹ მუხლის, „აშშ-ის სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის
(CRDF - Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და
საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ)
„მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამეწარმეო პროგრამის (STEP) - ბიზნეს-
პარტნიორობის (BPG)“ ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის
დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრის 2011 წლის 15 ივნისის №103/ნ ბრძანების, „საჯარო სამართლის
იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა
და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით
დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „ე“, „ე¹“ და „თ“
ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის სამეცნიერო საბჭოს 2011 წლის 18 მაისის №04 ოქმის (გადაწყვეტილების)
გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2011 წლის 20 ივნისის „აშშ-ის სამოქალაქო კვლევებისა და
განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული

სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) „მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამეწარმეო პროგრამის (STEP) - ბიზნეს-პარტნიორობის (BPG)“ 2011 წლის ერთობლივი კონკურსი“. საპროექტო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2011 წლის 1 აგვისტო, 18 საათი.

2. დამტკიცდეს „აშშ-ის სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) „მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამეწარმეო პროგრამის (STEP) - ბიზნეს-პარტნიორობის (BPG)“ 2011 წლის ერთობლივი კონკურსის“ პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად.

3. დამტკიცდეს საპროექტო განაცხადის ქართული და ინგლისური ფორმები ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად.

4. დამტკიცდეს პროექტის ბიუჯეტის ქართული და ინგლისური ფორმები ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად.

5. დამტკიცდეს „კონკურსში მონაწილეობის შესახებ პროექტის მონაწილე ფიზიკურ პირთა, საბაზო ორგანიზაციისა და თანადამფინანსებელი კომპანიის ერთობლივი განცხადების“ ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად.

4. დაევალოს ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორს (თ. გორგოძეს) წინამდებარე ბრძანების საჯარო გაცნობისათვის განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge.

5. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

სულხან სისაური

